ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N05

2022 წლის 30 მარტი
ქ.ქობულეთი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 18 მაისის N61 განკარგულებით დამტკიცებული „ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციის გეგმა“-ში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე

საქართველოს ,,ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი”-ს 63-ე მუხლისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 14 მარტის N114-11422073314 მომართვის შესაბამისად:

1. ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 18 მაისის N61 განკარგულებით დამტკიცებული „ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციის გეგმა“-ში შეტანილ იქნას ცვლილება და დაემატოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ალამბარში მდებარე 120.0 კვ.მ არასასოფლო -სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 20.36.04.045) თანახმად დანართისა;

2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის, სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ქონების მართვისა და აგრარულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (ლ.ხახუტაიშვილი);

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ.ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. N30);

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე დ.მჭედლიშვილი

საპრივატიზაციო ობიექტთა ნუსხის დანართი

N	ქონების დასახელება	საკადასტრო კოდი	აუქციონის ფორმა	საწყისი საპრივატიზაციო საფასური (ლარი)	ბე (ლარი)	ბიჯი (ლარი)	შეძენილი ქონების ღირებულების გადახდის პერიოდი	გეგმის განხორციელების პერიოდი
1	2	3	4	5	6	7	8	9
1	ქობულეთი, სოფელ ალამბარში მდებარე 120,0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	20.36.04.045	პირობების გარეშე აუქციონი	30000	15000	2000	გამარჯვებიდან ერთი თვის ვადაში	2022 წლის მეორე კვარტალი